KARR1319248239019

№13-52181
27 / მაისი / 2019 წ.

საქართველოს გენერალური პროკურორის
მოადგილეს ბატონ გიორგი გოგაძეს

საქართველოს გენერალური პროკურატურის
ადმინისტრაციის უფროსის
მაგდა კაპანაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ 2019 წლის 1 მაისის N13-42579 მოხსენებით ბარათში აღნიშნული, საქართველოს პროკურატურის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ნაცვლად სასტუმრო „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასის“ და „კლუბი ანდერვილისა“ 2019 წლის 30 მაისს გაიმართება სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში (საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი რეზიდენცია).

ღონისძიებას მოწვეული სტუმრის სტატუსით დაესწრება ევროჯასტის პრეზიდენტი ბატონი ლადისლავ ჰამრანი და ასევე ევროჯასტის წარმომადგენელი ბატონი ლუკას სტარი.

ევროჯასტის დელეგაციის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი აქტივობები:

2019 წლის 29-30 მაისს ბატონი ლადისლავ ჰამრანის და ბატონი ლუკას სტარის განთავსება სასტუმრო „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში“.

2019 წლის 30 მაისს საქართველოს გენერალური პროკურორის შალვა თადუმაძის ოფიციალური სადილი სტუმრებთან ბატონ ლადისლავ ჰამრანთან და ლუკას სტართან ერთად ქ. თბილისში, რესტორანში „კოპალა“.

2019 წლის 30 მაისს ბატონი ლადისლავ ჰამრანის და ლუკას სტარის ვიზიტი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში და ოქროს ფონდის დათვალიერება ინგლისურენოვან გიდთან ერთად.

2019 წლის 31 მაისს ბატონი ლადისლავ ჰამრანის და ბატონი ლუკას სტარის განთავსება სასტუმრო „კაჭრეთის ამბასადორში“, ამავე დღეს სასტუმრო „კაჭრეთის ამბასადორში“ სტუმრების სადილით გამასპინძლება.

2019 წლის 31 მაისს ქალაქ სიღნაღში ინგლისურენოვან გიდთან ერთად ქალაქ სიღნაღის დათვალიერება და სტუმრების ვახშმით გამასპინძლება ქალაქ სიღნაღში.

2019 წლის 1 ივნისს ბატონი ლუკას სტარის განთავსება ქალაქ თბილისში სასტუმროში „კოპალა“.

2019 წლის 1 ივნისს ბატონი ლუკას სტარის მონაწილეობით ძველი თბილისის დათვალიერება ინგლისურენოვან გიდთან ერთად.

2019 წლის 1 ივნისს ბატონი ლუკას სტარის ვიზიტი ქალაქ მცხეთაში და ინგლისურენოვან გიდთან ერთად ქალაქ მცხეთის და ჯვრის მონასტრის დათვალიერება.

გარდა აღნიშნულისა, ევროჯასტის დელეგაციისთვის ასევე დაგეგმილია ქართული წარმოების ტკბილეულის ნაკრების საჩუქრად გადაცემა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, თქვენს თანხმობას ევროჯასტის დელეგაციის წევრებისთვის სასტუმროს მომსახურების, კვების (სადილის და ვახშამის) მომსახურების, ქართული ტკბილეულის ნაკრების შესყიდვის, ეროვნული მუზეუმის ბილეთების და ასევე ინგლისურენოვანი გიდების მომსახურების შესყიდვის თაობაზე.

პატივისცემით,